

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
განთლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტი

პროგრამის სახელწოდება	ხელოვნებათმცოდნეობა
სტრუქტურული ერთეული	უწყვეტი განათლების ცენტრი
კოდი	CHf1c
პროგრამის მოცულობა <i>ECTS</i>	60 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ
სწავლების ენა	ქართული
დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზანი	პროგრამის ძირითადი მიზანია: მსმენელს მისცეს საწყისი ცოდნა მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიაში, გააცნოს მას ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, მხატვრული თავისებურებები, ჩამოუყალიბოს მოვლენების ხელოვნებათმცოდნეობითი ხედვა. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს ისეთი დარგობრივი უნარების განვითარება, რომელიც, ჰუმანიტარული და სახელოვნებო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს დაეხმარება დამატებითი კომპეტენციების შექმნასა და დასაქმების სფეროს გაფართოებაში.
პროგრამის საკადრო უზრუნველყოფა	მაია ჭიჭილეიშვილი - რექტორი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი ტელ:593 362 361. e-mail:chichileishvilimaia@gmail.com რატი ჩიბურდანიძე - ასოცირებული პროფესორი. ნინო ინაიშვილი - სპეციალისტი (I კატ.). ნათია კვაჭაძე - სპეციალისტი (I კატ.)
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	მსმენელი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. მსმენელი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა	სასწავლო კურსის გავლა შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად.
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	ვერბალური მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, იდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.
სწავლის საფასური	სწავლის საფასური განისაზღვრება საათის ღირებულების მიხედვით. 1 აკადემიური საათი 15 ლარი. ჯგუფთან ერთად კურსის გავლის შემთხვევაში 1 აკადემიური საათის ღირებულება შეიძლება განისაზღვროს დადგენილ ნორმაზე ნაკლები ოდენობით.
კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა	სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი

ხელოვნებათმცოდნეობა - სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსები	კრედიტები	საათების რ-ბა		
				სულ	საკონტ.	დამოუკ.
CHf1c-1		ანტიკური ხელოვნების ისტორია	5	125	50	75
CHf1c-2		შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ხელოვნება	5	125	50	75
CHf1c-3-1		ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია (I)	5	125	50	75
CHf1c-3-2	CHf1c-3-1	ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია (II)	5	125	50	75
CHf1c-4		შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება	5	125	50	75
CHf1c-5	CHf1c-1, CHf1c-2	აღორძინების ეპოქის ხელოვნება	5	125	50	75
CHf1c-6	CHf1c-5	XVII-XVIII სს დას. ევროპის ხელოვნება	5	125	50	75
CHf1c-7		შუა საუკუნეების ქართული ფერწერა (კედლის მხატვრობა, ხატწერა, მინიატურა)	5	125	50	75
CHf1c-8		XIX ს-ის დას. ევროპის ხელოვნება	5	125	50	75
CHf1c-9		XX ს-ის ხელოვნება (დას. ევროპა, აშშ)	5	125	50	75
CHf1c-10		მე-19-20 სს-ის საქართველოს ქალაქების არქიტექტურა	5	125	50	75
CHf1c-11		მე-19-20 სს-ის ქართული სახვითი ხელოვნება	5	125	50	75
სულ			60	1500	625	875

